


## დანერგვის სახელმძღვანელო

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 220  
(გადასინჯული) – ფინანსური  
ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა



## დანერგვის სახელმძღვანელო

ასს 220 (გადასინჯული) – ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა

### შინაარსი

|   |    |
|---|----|
| შესავალი.....   | 3  |
| ძალაში შესვლის თარიღი .....                                     | 4  |
| სტანდარტის მიზანი .....   | 4  |
| ასს 220-ის (გადასინჯული) ძირითადი ცნებები .....                 | 4  |
| ასს 220-ის (გადასინჯული) გადასინჯული და ახალი განმარტებები..... | 8  |
| კავშირები .....   | 10 |
| ასს 220-ის (გადასინჯული) ძირითადი ცვლილებები და მიმოხილვა.....  | 12 |

წინამდებარე პუბლიკაცია მოამზადა აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) პერსონალმა. სტანდარტის დანერგვის სახელმძღვანელოს მიზანია ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების გაგებასა და გამოყენებაში აუდიტორების დახმარება. იგი არ წარმოადგენს IAASB-ის ოფიციალურ დოკუმენტს, არც ცვლის და არც უგულებელყოფს ასს 220-ს (გადასინჯული), რომლის ტექსტიც წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს. გარდა ამისა, ეს პუბლიკაცია არ არის ამომწურავი და მასში განხილული ნებისმიერი მაგალითი მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის არის განკუთვნილი. ამ სახელმძღვანელოს გაცნობა ვერ ჩაანაცვლებს ასს 220-ის (გადასინჯული) გაცნობას.

2020 წლის დეკემბერში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა სამი ახალი და გადასინჯული ხარისხის მართვის სტანდარტი, რომლებიც აძლიერებს და ძირეულად ცვლის აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვისადმი მიდგომას: ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 1 (ყოფილი ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი 1) – „ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი ან დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“ ხმსს 2 – „გარიგების ხარისხის მიმოხილვა“ და ასს 220 (გადასინჯული) – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა“.

ამ სტანდარტების მეშვეობით, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო ეპასუხება სწრაფად ცვალებადი აუდიტის ეკოსისტემის მოთხოვნებს, რომელიც დღით-დღე რთულდება, მათ შორის დაინტერესებულ მხარეთა მზარდ მოლოდინებსა და პროაქტიული და ადაპტირებადი ხარისხის მართვის სისტემების აუცილებლობას. ზემოაღნიშნული სტანდარტები აუდიტორულ ფირმებს ავალდებულებს, ამაღლონ თავიანთი მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის სანდოობა, ჩართონ ხარისხი ფირმის კორპორაციულ კულტურასა და გენერალურ პოზიციებში („ხელმძღვანელობის ტონი“), ასევე ამაღლონ გარიგების ხარისხის მიმოხილვის საიმედოობა.

ასს 220 (გადასინჯული) ყურადღებას ამახვილებს ხარისხის მართვაზე აუდიტის გარიგების დონეზე და მოითხოვს, რომ აუდიტის გარიგების პარტნიორი აქტიურად მართავდეს ხარისხს და საკუთარ თავზე იღებდეს პასუხისმგებლობას ხარისხის უზრუნველყოფაზე, კერძოდ, გარიგების შესრულების პროცესში საკმარისი და ადეკვატური ჩართულობით, ასევე ფირმის პოლიტიკისა და პროცედურების და ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების დაცვით. ასს 220-სა (გადასინჯული) და ხარისხის მართვის სხვა სტანდარტებს შორის ურთიერთკავშირი განხილულია ქვემოთ, სათაურის ქვეშ „კავშირები“.

 ეს სიმბოლო ამ სახელმძღვანელოში გამოიყენება ასს 220-ის (გადასინჯული) პუნქტების მისათითებლად.

 ეს ბლოკი და სიმბოლო ამ სახელმძღვანელოში გამოიყენება ასს 220-ში (გადასინჯული) მაგალითების გამოსაყოფად.

 ეს სიმბოლო სახელმძღვანელოში გამოიყენება ამჟამად მოქმედ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების წარმოსაჩენად.

რას ეხება ასს 220 (გადასინჯული)?

 ასს 220 (გადასინჯული), 1-ლი პუნქტი

ასს 220 (გადასინჯული) ეხება:

- (ა) ფინანსური ანგარიშგების აუდიტში აუდიტორის კონკრეტულ პასუხისმგებლობას გარიგების დონეზე ხარისხის მართვასთან დაკავშირებით; და
- (ბ) გარიგების პარტნიორის შესაბამის პასუხისმგებლობას, ვინაიდან ხარისხის მართვასთან დაკავშირებული აუდიტორის პასუხისმგებლობების დიდი ნაწილი სწორედ გარიგების პარტნიორებს ეკისრებათ.

ამჟამად, აუდიტის გარიგების დონეზე ხარისხის კონტროლთან დაკავშირებულ მოთხოვნებს მოიცავს არსებული ასს 220. როდესაც გადასინჯული სტანდარტი შევა ძალაში 2022 წლის 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის, ასს 220 (გადასინჯული) ჩაანაცვლებს არსებულ ასს 220-ს. ასს 220-ში (გადასინჯული) შეტანილი ცვლილებებით გამოწვეული შესაბამისი ცვლილებები აუდიტის სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და მასთან დაკავშირებულ მასალაში შეგიძლიათ იხილოთ „ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარში (2020 წლის გამოცემა)“ განყოფილებაში „ხარისხის მართვის პროექტებით გამოწვეული შესაბამისი ცვლილებები სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა (ასს) და დაკავშირებულ მასალაში“.



## ძალაში შესვლის თარიღი



ISA 220 (გადასინჯული) ძალაში შედის 2022 წლის 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის.



## სტანდარტის მიზანი

ასს 220-ის (გადასინჯული) მიზანი არსებული ასს 220-ის მიზნის მსგავსია, მაგრამ ახლა ხაზგასმულია, რომ აუდიტორის მიზანია ხარისხის მართვა და უზრუნველყოფა და არა ხარისხის კონტროლის პროცედურების ჩატარება.

სტანდარტის მიზანი მიმართულია ხარისხიან შედეგზე გარიგების დონეზე. იგი ასს 220-ით (გადასინჯული) გათვალისწინებულ აუდიტორის სამუშაოს აკავშირებს აუდიტის სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის იმ სტანდარტებთან, რომლებიც ეხება აუდიტორის დასკვნას. სტანდარტის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, მიიღწევა ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესრულებით.

აუდიტორის მიზანია, ხარისხი მართოს ცალკეული გარიგების დონეზე, რათა მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ გარიგების ხარისხი უზრუნველყოფილია იმგვარად, რომ:

- (ა) აუდიტორმა თავისი პასუხისმგებლობები შეასრულა და აუდიტი ჩატარა პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად; და
- (ბ) აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნა კონკრეტული გარემოებების შესაფერისია.



## ასს 220-ის (გადასინჯული) ძირითადი ცნებები

### გარიგების პარტნიორის როლის გამიჯვნა გარიგების გუნდის სხვა წევრებისგან


ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნები ხშირად გარიგების პარტნიორისკენ არის მიმართული. ეს იმით აიხსნება, რომ გარიგების პარტნიორს ეკისრება სრული, საბოლოო პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, ანგარიშვალდებულებაც ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების დაცვაზე. ასს 220 (გადასინჯული) შეიცავს განსხვავებულ ფორმულირებას იმის მისანიშნებლად, თუ როგორ შეუძლია გარიგების პარტნიორს გარიგების გუნდის სხვა წევრების ჩართვა ამ მოთხოვნების შესრულებაში.



როდესაც გამოიყენება ტერმინი „გარიგების პარტნიორმა თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ...“, გარიგების პარტნიორს შეუძლია, გარიგების გუნდის შესაბამის წევრებს დაავალოს ამ პროცედურების შემუშავება და შესრულება. იმ შემთხვევაში, თუ „გარიგების პარტნიორთან“ დაკავშირებით ზემოაღნიშნული ფრაზა არ გამოიყენება, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო მოიაზრებს, რომ ეს მოთხოვნა პირადად გარიგების პარტნიორმა უნდა შეასრულოს. ამ მოთხოვნების შესასრულებლად გარიგების პარტნიორს ინფორმაციის მოპოვება შეუძლია გარიგების გუნდის სხვა წევრებისგან ან ფირმისგან.

მაგალითად, ასს 220-ის (გადასინჯული) 29-ე პუნქტი გარიგების პარტნიორს ავალდებულებს პასუხისმგებლობის აღებას გარიგების გუნდის წევრების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მათი სამუშაოს მიმოხილვაზე. შესაბამისად, გარიგების პარტნიორს შეუძლია, გარიგების გუნდის უფრო მეტად გამოცდილ წევრებს დაავალოს გარიგების გუნდის ნაკლებად გამოცდილი წევრების ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და მათი სამუშაოს მიმოხილვის ჩატარება. ამასთან, ასს 220-ის (გადასინჯული) 30-ე პუნქტი გარიგების პარტნიორისგან მოითხოვს იმის დადგენას, რომ ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის ხასიათი, ვადები და მასშტაბი აკმაყოფილებს გარკვეულ (დადგენილ) კრიტერიუმებს. ეს აიხსნება იმით, რომ მნიშვნელოვანია გარიგების პარტნიორს ჰქონდეს საერთო წარმოდგენა იმის თაობაზე, როგორ აღსრულდა ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და მიმოხილვა და აუცილებელია თუ არა გამოსასწორებელი ზომების გატარება.

## ახალი ფოკუსი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაზე



ასს 220-ის გადასინჯვის პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა გარიგების პარტნიორის როლის უფრო ზუსტად განსაზღვრა (გკ ზედა დიაგრამაში). კერძოდ, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო ცდილობს, უფრო ნათელი გახადოს გარიგების პარტნიორის ჩართულობის აუცილებლობა აუდიტის პროცესში და აუდიტის ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაში.

ზემოთ მოცემულ დიაგრამაში აღწერილია რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ აღწევს გარიგების პარტნიორი ამ მიზანს:

- გარიგების პარტნიორს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა გარიგების ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე და გარიგების გუნდისთვის შესაფერისი გარემოს შექმნაზე (მე-13 პუნქტი). ეს პასუხისმგებლობა მოიცავს გარიგების პარტნიორის საკმარის და ადეკვატურ ჩართულობას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, გარიგების პარტნიორს ევალება პასუხისმგებლობის აღება გატარებულ ზომებზე, რომლებიც ასახავს ხარისხისადმი ფირმის ერთგულებას და გარიგების გუნდის (წევრების) მოსალოდნელ ქცევას (მე-14 პუნქტი);

- გარიგების პარტნიორი ასევე პასუხისმგებელია გარიგების გუნდის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მათი სამუშაოს მიმოხილვაზე (29-ე პუნქტი). ამასთან, გარიგების პარტნიორის ევალუაცია ამგვარი ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის ხასიათის, ვადებისა და მასშტაბის განსაზღვრაც (30-ე პუნქტი).

გარიგების დასრულების ეტაპზე, მაგრამ გარიგების დასკვნის დათარიღებამდე, გარიგების პარტნიორს ასევე ევალუაცია, „გარედან, უცხო თვალით შეხედოს“ და დაადგინოს, აღებული აქვს თუ არა სრული პასუხისმგებლობა აუდიტის გარიგების ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე. (მე-40 პუნქტი, იხ. ასევე შემდგომი განხილვა ქვემოთ)

**მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლიათ გარიგების გუნდის სხვა წევრებს მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება**

გარიგების პარტნიორის გარდა სხვა პირებმაც, რომლებსაც აკისრიათ ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობა, უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ფირმის კულტურისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ გარიგების გუნდის სხვა წევრებს, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, უწყვეტ ზედამხედველობას და ვის სამუშაოსაც მიმოხილავენ. ეს შეიძლება მოიცავდეს ყურადღების გამახვილებას ფირმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე მისი კულტურისა და აუდიტის ხარისხის მნიშვნელობის შესახებ, ან ფირმის ტრენინგის ჩანაწერების მიმოხილვას, რათა გაიგონ, გაიარეს თუ არა გარიგების გუნდის წევრებმა შესაბამისი სწავლება/ტრენინგი.

**საკმარისი და ადეკვატური ჩართულობის მაგალითი**

იმისთვის, რომ საკმარისად და ადეკვატურად იყოს ჩართული გარიგების შესრულებაში, მისი მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, წარმოაჩინოს ხელმძღვანელის თვისებები და შესაბამისი ქცევა და კულტურა, გარიგების პარტნიორს შეუძლია:

- რეგულარულად ეწვიოს იმ ადგილებს, სადაც გარიგების გუნდი მუშაობს და შეხვდეს ხელმძღვანელებსა და ფირმის ექსპერტებს;
- რეგულარულად ჩაატაროს შეხვედრები გარიგების გუნდის სხვა ხელმძღვანელებთან, რათა განიხილონ გარიგების შესრულების მიმდინარეობა და აუდიტის პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი პრობლემური საკითხი, განსაკუთრებით რომლებიც დაკავშირებულია გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხებთან ან მნიშვნელოვან განსჯასა და გადაწყვეტილებებთან. განხილვა შეიძლება ეხებოდეს მაგალითად ასეთ საკითხებს: შეიტანეს ან უნდა შეიტანონ თუ არა რაიმე სახის მნიშვნელოვანი ცვლილება აუდიტის საერთო სტრატეგიასა და აუდიტის გეგმაში;
- გაესაუბროს გარიგების გუნდის წევრებს, უხელმძღვანელოს და ზედამხედველობა გაუწიოს და მიმოხილოს მათი სამუშაო.



ასს 220 (გადასინჯული)  
პუნქტები: მე-8, გ13–გ14,  
გ29, გ80, გ95

**გრადაცია**

ასს 220–ის (გადასინჯული) მოთხოვნები იმითვისაა გამიზნული, რომ გამოიყენებოდეს კონკრეტული აუდიტის ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით. ასს 220–ის (გადასინჯული) მე-8 პუნქტში მოცემულია ასს 220–ის (გადასინჯული) გამოყენების მაგალითები სხვადასხვა სიდიდის ფირმებისა და გარიგების გუნდებისთვის, რომლებიც ატარებენ როგორც ნაკლებად რთული, ისე რთული სუბიექტების აუდიტს. ასს 220 (გადასინჯული) ასევე მოიცავს მასალას, საიდანაც ჩანს, თუ როგორ შეიძლება წინამდებარე ასს-ის გამოყენება სხვადასხვა გარემოებაში. შემდეგნაირად:

| ასს 220-ის<br>(გადასინჯული)<br>პუნქტი | გრადაციის საკვანძო საკითხები  |
|---------------------------------------|---|
| გ13-გ14                               | <ul style="list-style-type: none"> <li>როგორ შეუძლია გარიგების პარტნიორს, შედარებით პატარა ფირმაში, ითამაშოს გარკვეული როლი ფირმის ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი მრავალი საპასუხო ზომის განსაზღვრაში გარიგების დონეზე.</li> <li>პოლიტიკის ან პროცედურების ფორმალურობა სხვადასხვა სიდიდის ფირმებში.</li> <li>ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებული მოთხოვნების მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, თუ გარიგების პარტნიორი გარიგების გუნდის ერთადერთი წევრია.</li> </ul> |
| გ29                                   | <ul style="list-style-type: none"> <li>ხარისხის მიმართ ფირმის ერთგულების დემონსტრირებაზე მიმართული გარიგების პარტნიორის ქმედებების ხასიათი და მასშტაბი როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს.</li> </ul>   |
| გ80                                   | <ul style="list-style-type: none"> <li>როგორ მუშაობს ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფასთან და გარიგების პარტნიორის საკმარის და ადეკვატურ ჩართულობასთან დაკავშირებული გარიგების პარტნიორის საერთო პასუხისმგებლობა, როდესაც ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობა დელეგირებულია სხვებზე.</li> </ul>   |
| გ95-გ97                               | <ul style="list-style-type: none"> <li>მაგალითები იმისა, თუ როგორ შეიძლება ხელმძღვანელობის, ზედამხედველობის და მიმოხილვისთვის გამოსაყენებელი მიდგომის ადაპტირება.</li> </ul>  |

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გააცნობიერა, რომ მრავალრიცხოვან გარიგების გუნდებს შეიძლება უფრო რთული სტრუქტურა ჰქონდეს, ვიდრე უფრო მცირე გარიგების გუნდებს და, შესაბამისად, რიგი პასუხისმგებლობები შეიძლება დაეკისროს გარიგების გუნდის სხვა უფროს წევრებს.<sup>1</sup>

ასს 220-ის (გადასინჯული) მე-15 პუნქტი მოითხოვს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გარიგების პარტნიორი ამ ასს-ს მოთხოვნასთან დაკავშირებული პროცედურების, ამოცანების თუ გასატარებელი ზომების შემუშავებას ან შესრულებას გარიგების გუნდის სხვა წევრებს ავალებს ამ ასს-ის მოთხოვნების შესრულებაში მისთვის დახმარების მიზნით, გარიგების პარტნიორმა მაინც თავის თავზე უნდა აიღოს საერთო პასუხისმგებლობა აუდიტის გარიგების ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე, გარიგების ჯგუფის ზემოაღნიშნული წევრების ხელმძღვანელობით, ზედამხედველობითა და მათი სამუშაოს მიმოხილვის გზით.

ასს 220-ში (გადასინჯული) აღნიშნულია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გარიგების პარტნიორს ეკისრება სრული, საბოლოო პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, ანგარიშვალდებულებაც ამ ასს-ის მოთხოვნების შესრულებაზე.

**i** ასს 220 ასევე შეიცავს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებულ და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის მასალას, რომელიც ეხება საერთო საკითხებს, რომლებიც გვხვდება უფრო მსხვილი სუბიექტების აუდიტში, როგორცაა:

- გავლენა, როდესაც გარიგების გუნდში არიან წევრები (მაგ., კომპონენტის აუდიტორი ჯგუფის აუდიტში), რომლებიც არ არიან გარიგების პარტნიორის ფირმის არც პარტნიორები და არც თანამშრომლები. (იხ. პუნქტები გ23-გ25)
- გზები იმის საჩვენებლად, რომ გარიგების პარტნიორი იყო საკმარისად და ადეკვატურად ჩართული, როდესაც პროცედურების, ამოცანების ან გასატარებელი ზომების შესრულება სხვებს დაევალა. (იხ. პუნქტი გ37)

1. ასს 220 (გადასინჯული), მე-9 პუნქტი.

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ხარისხის მართვის პროექტის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე განმარტების მოდიფიკაცია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო „გარიგების გუნდის“ განმარტებას.

გარიგების გუნდი:  
კონკრეტული აუდიტის გარიგების შემსრულებელი ყველა პარტნიორი და თანამშრომელი და ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოცემულ გარიგებასთან დაკავშირებით ატარებს აუდიტის პროცედურებს, გარდა აუდიტორის გარე ექსპერტისა და დამკვეთის შიდა აუდიტორებისა, რომლებიც უშუალო დახმარებას უწევენ გარიგების გუნდს გარიგების შესრულებისას.  
(პუნქტი 12(დ))

განმარტებაში შეტანილი ცვლილება აღიარებს, რომ თუ პირი ატარებს აუდიტის პროცედურებს, განურჩევლად მისი მდებარეობისა და დასაქმების სტატუსისა, მაშინ ეს პირი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მის სამუშაოს უნდა გაეწიოს სათანადო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა და ტარდებოდეს მისი მიმოხილვა. განახლებული განმარტება აღიარებს, რომ გარიგების გუნდების ფორმირება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, მათ შორის, შესაძლოა წევრები ერთ ადგილას ან სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში მდებარეობდნენ, ან გუნდი ორგანიზებული იყოს იმ სამუშაოს მიხედვით, რომელსაც მისი წევრები ასრულებენ. გარდა ამისა, ასს 220 (გადასინჯული) შეიცავს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალას იმის ასახსნელად, თუ როგორ შეიძლება ამ განმარტების გამოყენება სხვადასხვა გარემოებაში, როგორცაა ჯგუფის აუდიტი და მომსახურების ცენტრები. (იხ. პუნქტები გ15-გ21). სტანდარტში ასევე განმარტებულია, თუ როგორ შეიძლება, რომ ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები განსხვავებული ზომების გამოყენებას მოითხოვდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც გარიგების გუნდში არიან პირები სხვა ფირმიდან, რომლებიც არც გარიგების პარტნიორის ფირმის პარტნიორები არიან და არც მისი თანამშრომლები (იხ. პუნქტები გ23-გ25).

ასს 220-ში (გადასინჯული) ასევე აღიარებულია, რომ აუცილებელი არ არის, აუდიტის გარიგებაში ჩართული პირები იყვნენ უშუალოდ ფირმის მიერ დაქირავებულნი ან დასაქმებულნი. გარიგებაში შესაძლოა ჩართული იყოს ქსელის რომელიმე ფირმის პერსონალი, სხვა ფირმის პერსონალი, რომელიც არ განეკუთვნება ქსელს, ან მომსახურების სხვა პროვაიდერების პერსონალი.

 ასევე იხილეთ საინფორმაციო დოკუმენტი: გარიგების გუნდი

 მომსახურების ცენტრები  
ასს 220 (გადასინჯული) აღიარებს, რომ ფირმას შეუძლია, განმეორებადი ან სპეციალიზებული ხასიათის კონკრეტული ამოცანების შესრულება დაავალოს სათანადო კვალიფიკაციისა და უნარების მქონე პერსონალის გუნდს, როგორცაა მომსახურების ცენტრი. მომსახურების ცენტრები შეიძლება შექმნილი იყოს ფირმის, ქსელის ან იმავე ქსელში შემავალი სხვა ფირმების, სტრუქტურების ან ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, შესაძლებელია ცენტრალიზებული ფუნქციის/დანაყოფის გამოყენება გარე დადასტურების პროცედურის გასაადვილებლად.



მაგალითად, გარიგების გუნდის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ შემდეგი პირები:

- ფირმის საინფორმაციო ტექნოლოგიების გუნდის წევრები;
- ფინანსური ინსტრუმენტების ან შეფასების საკითხებში ფირმის ექსპერტები;
- ფირმის მომსახურების ცენტრებში დასაქმებული პირები;
- კომპონენტის აუდიტორები ჯგუფის აუდიტის გარიგებაში;
- პირები, რომლებიც აუდიტის პროცედურებს ატარებენ საწყობში ან შორეულ ადგილას მარაგის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით (იმის მიუხედავად, ისინი ფირმის, ქსელის ფირმის თუ სხვა ფირმის წარმომადგენლები არიან);
- სხვა პარტნიორები, რომლებიც ასრულებენ ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობებს.

გახსოვდეთ, არსებობენ ორი ტიპის პირები, რომლებიც კონკრეტულად გამოირიცხებიან გარიგების გუნდის განმარტებიდან: (1) აუდიტორის გარე ექსპერტი და (2) შიდა აუდიტორები, რომლებიც უშუალო დახმარებას უწევენ გარიგების გუნდს გარიგების შესრულებაში.

განმარტებებში შეტანილი სხვა ცვლილებები აღწერილია ქვემოთ:

| გადასინჯული და ახალი განმარტებები                            | ცვლილებების შეჯამება  |
|--|---|
| გარიგების ხარისხის მიმოხილვა/გარიგების ხარისხის მიმომხილველი | ეს განმარტებები შეესაბამება ხმს 2-ს   |
| სათანადო ეთიკური მოთხოვნები                                  | ეს განმარტება შეესაბამება ხმს 1-ის განახლებულ განმარტებას, გარდა იმისა, რომ ეხება მხოლოდ აუდიტის გარიგებებს |




**ხმს 1:  
ხარისხის მართვა  
ფირმის დონეზე**

ხმს 1 ფირმას ავალდებულებს, უზრუნველყოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება ფირმის მიერ შესრულებული გარიგებების ხარისხის მართვისთვის.

ფირმის ხარისხის მართვის სისტემა ქმნის გარემოს, რომელიც გარიგების გუნდებს საშუალებას აძლევს და ეხმარება ხარისხიანი გარიგებების შესრულებაში.



**ხმს 2:  
გარიგების ხარისხის  
მიმოხილვა**

გარიგების ხარისხის მიმოხილვა ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ნაწილია. ხმს 2 ეფუძნება ხმს 1-ს და მოიცავს განსაკუთრებულ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება:

- გარიგების ხარისხის მიმოხილველის დანიშვნასა და უფლებამოსილებას;
- გარიგების ხარისხის მიმოხილვასა და ჩატარებას; და
- გარიგების ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაციას.



**ასს 220 (გადასინჯული):  
ხარისხის მართვა  
გარიგების დონეზე**

ასს 220 (გადასინჯული) ეხება აუდიტორის პასუხისმგებლობებს გარიგების დონეზე ხარისხის მართვასთან დაკავშირებით და ასევე გარიგების პარტნიორის შესაბამის პასუხისმგებლობებს.

ეს სტანდარტი ვრცელდება ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

ფირმა პასუხისმგებელი ხარისხის მართვის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე. ხარისხის მართვის სისტემის გარკვეული ასპექტები შესაძლოა დაინერგოს და ფუნქციონირებდეს გარიგების დონეზე, მაგრამ მაინც ფირმა პასუხისმგებელი ხარისხის მართვის სისტემაზე. იმის განსაზღვრა, ხარისხის მართვის სისტემის რომელი ასპექტების დანერგვა და ფუნქციონირებაა შესაძლებელი გარიგების დონეზე, დამოკიდებულია ფირმის ხასიათსა და გარემოებებზე და მის მიერ შესრულებულ გარიგებებზე.

**i** ურთიერთქმედება გარიგების დონეზე და ფირმის დონეზე გასატარებელ საპასუხო ზომებს შორის განხილულია მე-4 და გ4-გ11 პუნქტებში.

ვინაიდან ფირმას არ შეუძლია ყველა სახის ხარისხის რისკის გამოვლენა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გარიგების დონეზე, გარიგების გუნდი მიმართავს პროფესიულ განსჯას იმის დასადგენად, აუცილებელია თუ არა დამატებითი ზომების განსაზღვრა და გატარება.

გარიგების გუნდსა და ფირმას შორის კომუნიკაციას/ინფორმაციის გაცვლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აუდიტის გარიგების ხარისხისთვის. კომუნიკაცია შეიძლება საჭირო გახდეს, როდესაც:

- გარიგების გუნდს აქვს ინფორმაცია, რომელიც ფირმას სჭირდება ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად; (იხ. პუნქტი 4(გ))
- არსებობს სათანადო ეთიკური მოთხოვნების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეები; (იხ. მე-18 პუნქტი)
- გარიგების გუნდისთვის ცნობილი ხდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუდიტის გარიგებაზე უარის თქმას გამოიწვევდა, თუ ეს ინფორმაცია ადრე იქნებოდა ცნობილი; (იხ. 24-ე პუნქტი)
- გარიგების გუნდისთვის გამოყოფილი ან ხელმისაწვდომი რესურსები არ არის საკმარისი ან ადეკვატური მოცემული აუდიტის გარიგების გარემოებებიდან გამომდინარე; (იხ. 27-ე პუნქტი)
- გარიგების პარტნიორი იღებს ინფორმაციას, რომელიც შეიძლება რელევანტური იყოს ფირმის მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესისთვის. (იხ. პუნქტი 39(გ))

## კავშირები სხვა ასს–ბთან



ასს 220 (გადასინჯული)  
პუნქტები: მე-5, გ12

ასს 220 (გადასინჯული) გამიზნულია აუდიტის სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად გამოყენებისთვის. როგორც მე-5 პუნქტშია აღნიშნული, ასს 220-ისთვის (გადასინჯული) რელევანტური ინფორმაცია აუდიტორმა შესაძლოა მოიპოვოს სხვა ასს-ების მოთხოვნების შესრულებისას. ამგვარი კავშირების მაგალითები განხილულია გ12 პუნქტში.

## დამოკიდებულება ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე



ასს 220 (გადასინჯული)  
პუნქტი: გ10



მნიშვნელოვანია, რომ გარიგების დონის ხარისხის მართვა და ფირმის დონის ხარისხის მართვა შეთანხმებულად ფუნქციონირებდეს. ხშირ შემთხვევაში, ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები შეიძლება დაეხმაროს გარიგების გუნდს ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესრულებაში.

გ10 პუნქტში აღნიშნულია, რომ, ჩვეულებრივ, გარიგების გუნდს შეუძლია დაეყრდნოს ფირმის პოლიტიკასა და პროცედურებს წინამდებარე ასს-ის მოთხოვნების შესრულებისას, თუკი:

- გარიგების გუნდის ცოდნა ან პრაქტიკული გამოცდილება არ მიუთითებს იმაზე, რომ ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები ეფექტიანად არ ასახავს კონკრეტული გარიგების ხასიათსა და გარემოებებს; ან
- ასეთი პოლიტიკის ან პროცედურების ეფექტიანობის შესახებ ფირმის ან სხვა მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია სხვა რამეზე არ



არსებული ასს 220 აღნიშნავს, რომ გარიგების გუნდები უფლებამოსილნი არიან, დაეყრდნონ ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფირმის ან სხვა მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საპირისპიროს მეტყველებს. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ წაშალა ეს მასალა და ჩაანაცვლა გამოყენების მასალით, რომელიც განმარტავს, რომ გარკვეულ ვითარებაში, გარიგების პარტნიორი შეიძლება დამოკიდებული იყოს ფირმის პოლიტიკასა და პროცედურებზე ასს 220-ის მოთხოვნების შესასრულებლად (გადასინჯული). ეს მიდგომა მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს რისკი იმისა, რომ გარიგების გუნდი „ბრმად“ დაეყრდნოს ფირმის ხარისხის მართვის სისტემას იმის გათვალისწინების გარეშე, შეესაბამება თუ არა ფირმის ხარისხის მართვის პოლიტიკა ან პროცედურები გარიგების მიზანს კონკრეტულ გარემოებებში.

მეტყველებს (მაგ., ფირმის მონიტორინგის დონისძიებებიდან, გარე ინსპექტირებიდან ან სხვა შესაფერისი წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები არ მუშაობს ეფექტიანად).

გ11 პუნქტი შეიცავს მითითებებს იმ ზომების შესახებ, რომლის მიღებაც შეუძლია გარიგების პარტნიორს, თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი ფირმის საპასუხო ზომები ეფექტური არ არის კონკრეტული გარიგებისთვის, ან გარიგების პარტნიორს არ შეუძლია ფირმის პოლიტიკაზე ან პროცედურებზე დაყრდნობა.



გნ პუნქტი - ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი ფირმის დონის საპასუხო ზომების მაგალითები, რომელზე დაყრდნობაც შეუძლია გარიგების გუნდს ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესრულებისას

- პერსონალის დაქირავებისა და პროფესიული სწავლების პროცესები;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების (სტ) გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს ფირმის დამოუკიდებლობის მონიტორინგის პროცესს;
- სტ გამოყენებითი პროგრამების შემუშავება, რომლებიც ხელს უწყობს დამკვეთთან ურთიერთობაზე ან აუდიტის გარიგებაზე დათანხმების, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან აუდიტის გარიგების გაგრძელების გადაწყვეტილებების მიღებას; და
- აუდიტის მეთოდოლოგიებისა და შესაბამისი ინსტრუმენტების და მითითებების შემუშავება.

## ასს 220-ის (გადასინჯული) ძირითადი ცვლილებები და მიმოხილვა



სახელმძღვანელოს ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ასს 220-ის (გადასინჯული) ძირითად ცვლილებებზე, არსებულ ასს 220-თან შედარებით, რომლებიც დალაგებულია ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების პუნქტების (სათაურებით) მიხედვით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აუდიტის ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე



ასს 220 (გადასინჯული)  
პუნქტები: მე-13-15,  
გ28-გ37



ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები უმნიშვნელოვანესია ასს 220-ის (გადასინჯული) გამოყენებისთვის, რადგან გარიგების პარტნიორს აკისრია სრული, საბოლოო პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, ანგარიშვალდებულება ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესრულებაზე.

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა (იხ. „ახალი ფოკუსი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაზე“, მე-5 ვერსიაზე), ამ ნაწილში განხილული მოთხოვნები ადგენს საერთო მიდგომას აუდიტის გარიგებებზე ხელმძღვანელობის განსახორციელებლად, მათ შორის:

- ისეთი გარემოს შექმნის აუცილებლობა, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ფირმის კულტურასა და გარიგების გუნდის წევრების მოსალოდნელ ქცევაზე;
- გამჭვირვალე, თანამიმდევრული და ეფექტური ზომების გატარების აუცილებლობა, რომლებიც ასახავს ხარისხის მიმართ ფირმის ერთგულებას; და

## მიკერძოების ტიპები

- გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ის გარიგების გუნდის სხვა წევრებს ავალებს გარკვეული პროცედურების, ამოცანების ან ზომების განსაზღვრას ან შესრულებას.

ამ ნაწილში სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალაში განხილულია მაგალითები იმისა, თუ როგორ შეუძლია გარიგების პარტნიორს აუდიტის გარიგებაში თავისი ჩართულობის დემონსტრირება.

### პროფესიული სკეპტიციზმის დაბრკოლებების შემცირება

ასს 220-ში (გადასინჯული) განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გარიგების გუნდის თითოეული წევრის მიერ პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლენის მნიშვნელობაზე, თუმცა, ასევე აღიარებულია, რომ აუდიტის ზოგიერთი გარიგებისთვის დამახასიათებელმა პირობებმა შეიძლება გარიგების გუნდზე ზეწოლა გამოიწვიოს, რამაც შესაძლოა შეაფერხოს პროფესიული სკეპტიციზმის სათანადოდ გამოვლენა აუდიტის პროცედურების შემუშავებისა და ჩატარებისას და აუდიტის მტკიცებულებების შეფასებისას. გარდა ამისა, სტანდარტი მოიცავს სპეციფიკურ მასალას, რათა განიმარტოს:

- პროფესიული სკეპტიციზმის ხელშემშლელმა ფაქტორებმა (როგორცაა საბიუჯეტო შეზღუდვები, მჭიდრო ვადები, ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის გარეშე მუშაობა ან ავტომატიზებულ ინსტრუმენტებსა და მეთოდებზე გადაჭარბებული მინდობა) როგორ შეიძლება იქონიოს გავლენა აუდიტის ჩატარებაზე (იხ. პუნქტი გ34);
- აუდიტორის გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი მიკერძოება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლენას (იხ. პუნქტი გ35); და
- შესაძლო ზომები, რომლის გატარებაც შეუძლია გარიგების გუნდს პროფესიული სკეპტიციზმის შემაფერხებელი ფაქტორების შესამცირებლად (იხ. პუნქტი გ36). შესაძლო ზომები შეიძლება მოიცავდეს სიფხიზლის შენარჩუნებას გარიგების გარემოებების ისეთი ცვლილებების მიმართ, რომლებიც გარდუვალად გამოიწვევს დამატებითი ან განსხვავებული რესურსების საჭიროებას გარიგების შესასრულებლად, გუნდისთვის მკაფიო ინფორმაციის მიწოდებას ისეთი სიტუაციების შესახებ, როდესაც გაცილებით მაღალია მიკერძოების მიმართ მოწყვლადობის ხარისხი, ან გარიგების გუნდის უფრო გამოცდილი წევრების ჩართვას გარკვეულ აქტივობებში.





ასს 220 (გადასინჯული) ასევე შეიცავს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებულ ახალ მასალას, რომელიც განმარტავს, თუ როგორ უკავშირდება ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნები ხმს 1-ით დადგენილ, ფირმის დონის მოთხოვნებს. (იხ. პუნქტები გ4-გ11)

არსებული ასს 220 მოითხოვს, რომ გარიგების პარტნიორი მუდამ ყურადღებით იყოს გარიგების გუნდის წევრების მიერ სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესაძლო დარღვევის შემთხვევებთან მიმართებით, განსაზღვროს შესაფერისი ზომები, თუ მისთვის ცნობილი გახდება დარღვევის ფაქტი და დადოს დასკვნა დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ამ არსებული მოთხოვნების გაძლიერების გარდა, ასს 220 (გადასინჯული) შეიცავს ახალ მოთხოვნებს და მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალას, რომელიც ეხება:



- სათანადო ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გააზრებას და იმის გარკვევას, იცინ თუ არა გარიგების გუნდის სხვა წევრებმა ეს მოთხოვნები და ფირმის შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები (იხ. პუნქტები: მე-16-17, გ23-გ25, გ38-გ44 და გ48);
- სათანადო ეთიკური მოთხოვნების დაცვის მიმართ შექმნილ საფრთხეებს (იხ. პუნქტები: მე-18 და გ43-გ44); და
- იმის დადგენას, შესრულებულია თუ არა სათანადო ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული (იხ. პუნქტები: 21-ე, გ38 და გ47).

**i** ასს 220-ის (გადასინჯული) გ46 პუნქტში განხილულია შესაძლო სათანადო ზომების მაგალითები ისეთი შემთხვევებისთვის, თუ გარიგების პარტნიორისთვის ცნობილი გახდება ინფორმაცია, ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მეშვეობით, ან სხვა წყაროებიდან, რომელიც მიუთითებს, რომ არ შესრულდა მოცემული აუდიტის გარიგების ხასიათისა და გარემოებების შესაფერისი სათანადო ეთიკური მოთხოვნები.



ასს 220 (გადასინჯული) ასევე შეიცავს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებულ ახალ მასალას, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია:

- ხმის 1-ის ფირმის დონის მოთხოვნებთან, რომლებიც ეხება სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს (იხ. ასს 220-ის (გადასინჯული), პუნქტები გ40, გ43 და გ45); და
- ასს 700-ის (გადასინჯული) – „*მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ*“ – მოთხოვნასთან იმის თაობაზე, რომ აუდიტორის დასკვნა უნდა შეიცავდეს განაცხადს აუდიტორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით (იხ. ასს 220 (გადასინჯული), პუნქტი გ47).

## დამკვეთთან ურთიერთობაზე ან გარიგებაზე დათანხმება, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან აუდიტის გარიგების გაგრძელება



ასს 220 (გადასინჯული)  
პუნქტები: 16-21-ე,  
გ23-გ25, გ38-გ48



დამკვეთთან ურთიერთობაზე ან გარიგებაზე დათანხმების, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან აუდიტის გარიგების გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უპირველესი პასუხისმგებლობა ფირმას ეკისრება. არსებული ასს 220 გარიგების პარტნიორს ავალდებულებს დაწმუნდეს, რომ ჩატარდა „დათანხმებისა და გაგრძელების“ ფირმის პროცედურები, დაადგინოს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნები ადეკვატურია და ფირმას დაუყოვნებლივ მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუდიტის გარიგებაზე უარის თქმას გამოიწვევდა ფირმის მხრიდან იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია მანამდე იქნებოდა ცნობილი. ამ არსებული მოთხოვნების შენარჩუნების გარდა, ასს 220 (გადასინჯული) მოიცავს ახალ მოთხოვნას და მის გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალას, რომელიც ეხება დამკვეთთან ურთიერთობაზე ან აუდიტის გარიგებაზე დათანხმებასთან, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან აუდიტის გარიგების გაგრძელებასთან დაკავშირებული პროცესის ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარებისას. (იხ. პუნქტები 23-ე და გ53- გ56)



ასს 220-ის (გადასინჯული) გ53-გ54 პუნქტებში მოცემულია დამკვეთთან ურთიერთობაზე ან აუდიტის გარიგებაზე დათანხმებასთან, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან აუდიტის გარიგების გაგრძელებასთან დაკავშირებული პროცესის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის მაგალითები, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს გარიგების პარტნიორს ამ ასს-ისა და აუდიტის სხვა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესრულებაში და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში შესაბამისი სამოქმედო კურსის შესახებ.



ასს 220 (გადასინჯული) ასევე შეიცავს ამ მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებულ ახალ მასალას, რომელიც კონკრეტულად დაკავშირებულია ხმს 1-ის ფირმის დონის იმ მოთხოვნებთან, რომლებიც ეხება დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებას, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელებას (იხ. ასს 220 (გადასინჯული) პუნქტები გ49 და გ51).



ასს 220 (გადასინჯული)  
პუნქტები: 25-28-ე,  
გ59-გ79

### გარიგების რესურსები

არსებული ასს 220 ეხება მხოლოდ გარიგების გუნდის წევრების დანიშნვას. ასს 220 (გადასინჯული) მნიშვნელოვნად აფართოებს ამ ას-პექტს და ახლა მოიცავს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება რესურსების სრულ ნაკრებს, რომელიც აუცილებელია გარიგების დონეზე ხარისხის მართვისა და უზრუნველსაყოფად. ასს 220-ში (გადასინჯული) შეტანილი ძირითადი ცვლილება



არის ის, რომ სტანდარტი ახლა გარიგების პარტნიორს ავალდებულებს ზომების მიღებას იმ შემთხვევაში, თუ გამოყოფილი ან ხელმისაწვდომი რესურსები არ არის საკმარისი ან ადეკვატური გარიგების პირობებიდან გამომდინარე. შესაბამისი ზომები მოიცავს დამატებითი ან ალტერნატიული რესურსების საჭიროების შესახებ შესაფერისი პირების ინფორმირებას, როგორცაა ფირმის პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია რესურსებზე ან გარიგების ხარისხის მართვაზე.



ასს 220-ის (გადასინჯული) გ60 პუნქტში აღწერილია მაგალითები, როდესაც გარიგების გუნდს თვითონ შეუძლია რესურსების მოპოვება პირდაპირ და არა ფირმის მეშვეობით. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც კომპონენტის აუდიტორს აუდიტის პროცედურების ჩასატარებლად ნიშნავს კომპონენტის ხელმძღვანელობა ჯგუფის გარიგების გუნდის სახელით.



ასს 220 (გადასინჯული) შეიცავს მითითებებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც რესურსები, გარიგების გარემოებებიდან გამომდინარე, არ არის საკმარისი ან ადეკვატური. მოკლედ:

- გ75 პუნქტში ახსნილია კავშირი ხმსს 1-ით განსაზღვრულ, ფირმის შესაბამის პასუხისმგებლობებთან. ასევე აღნიშნულია, რომ ფირმის ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტები არ აუქმებს გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობას, რომელიც ეხება ხარისხის უზრუნველყოფას და იმის დადგენას, რომ გარიგების რესურსები საკმარისი და ადეკვატურია;
- გ76 პუნქტი ეხება კომპონენტის აუდიტორების სამუშაოს, ჯგუფის აუდიტის გარიგებაში;
- გ77 პუნქტში მოცემულია მაგალითები იმისა, როდესაც ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი ფირმის საპასუხო ზომები არ არის ეფექტური რესურსებთან მიმართებით;
- გ78 პუნქტში ჩამოთვლილია არასაკმარისი ან არაადეკვატური რესურსების შემთხვევაში გასატარებელი შესაძლო საპასუხო ზომების მაგალითები.

ასს 220-ის (გადასინჯული) 25-ე პუნქტი გარიგების პარტნიორს ავალდებულებს იმის დადგენას, რომ საკმარისი და ადეკვატური რესურსებია გამოყოფილი ან ხელმისაწვდომი გარიგების გუნდისთვის. ამ დასკვნაზე გავლენას ახდენს აუდიტის გარიგების ხასიათი და გარემოებები, ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები და ცვლილებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას გარიგების შესრულების დროს. მაგალითად, ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები შეიძლება მოითხოვდეს გარკვეული სტ გამოყენებითი პროგრამების გამოყენებას, როგორცაა აუდიტის მეთოდოლოგიის პროგრამული უზრუნველყოფა, ან გარიგების გუნდს ავალდებულებდეს კონკრეტულ გარემოებებში შიდა სპეციალისტების ჩართვას.

26-ე პუნქტი აფართოებს არსებულ ასს 220-ს და მოითხოვს იმის განსაზღვრას, აქვს თუ არა გარიგების

გუნდს, აუდიტორის გარე ექსპერტებს და შიდა აუდიტორებს, რომლებიც უშუალო დახმარებას უწევენ გარე აუდიტორებს, ერთობლივად გარიგების შესასრულებლად აუცილებელი სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო.


### არასაკმარისი ან არაადეკვატური რესურსების პრობლემის მოგვარების მაგალითი

გარიგების პარტნიორმა დაადგინა, რომ თავდაპირველად დანიშნული გარიგების გუნდის წევრები არ იყვნენ საკმარისი და შესაფერისი გარიგების შესასრულებლად. კონკრეტულად, გარიგების გუნდს აკლდა საკმარისი ხელმძღვანელი რესურსები, გარიგების სიდიდისა და სირთულის გათვალისწინებით, ასევე აკლდა უნარები ხელშეკრულებებიდან და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი ამონაგების აღრიცხვისთვის. შესაბამისად, გარიგების პარტნიორმა ეს ინფორმაცია მიაწოდა ფირმის შესაბამის პერსონალს. ფირმამ დანიშნა გუნდში:

- დამატებითი პარტნიორი და დირექტორი, რომელიც გუნდს დაეხმარება სპეციალიზებული ცოდნით და დამატებითი ხელმძღვანელობით, ზედამხედველობითა და მიმოხილვის ჩატარებით. ამ პარტნიორს აქვს გამოცდილება გარიგებისთვის შესაფერისი კონკრეტული ამონაგების აღრიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებში;
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ექსპერტი;
- პროექტის მენეჯერი, რომელიც დაეხმარება აუდიტის მიმდინარეობაზე მონიტორინგის განხორციელებაში, გეგმასთან შედარებით.



ასს 220 (გადასინჯული) მოითხოვს, რომ გარიგების პარტნიორმა აიღოს პასუხისმგებლობა გარიგების გუნდის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მათი სამუშაოს მიმოხილვაზე. ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ გარიგების პარტნიორს, ან შეიძლება გაზიარდეს გარიგების გუნდის სხვა წევრებთან – იხილეთ ნაწილი „გრადაცია“ ზემოთ.



როგორც ზედა დიაგრამაზეა ნაჩვენები, 29-ე პუნქტი არის საწყისი წერტილი ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის განსახორციელებლად. 29-ე პუნქტი გარიგების პარტნიორს ავალდებულებს, თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა გარიგების გუნდის წევრების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მათი სამუშაოს მიმოხილვაზე. ეს არის ძირითადი, უმნიშვნელოვანესი ვალდებულება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობა შეიძლება გადანაწილდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგების პარტნიორი შეიძლება პირადად არ გეგმავდეს და ასრულებდეს ხელმძღვანელობასთან, ზედამხედველობასა და მიმოხილვასთან დაკავშირებულ ყველა სახის აქტივობას. ამიტომ, 30-ე პუნქტი ყურადღებას ამახვილებს გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მან უნდა დაადგინოს, რომ გარიგების განმავლობაში განხორციელებული ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის ხასიათი, ვადები და მასშტაბი შეესაბამება ფორმის პოლიტიკასა და პროცედურებს (იხ. ხმსს 1, პუნქტი 31(ბ)), პროფესიულ სტანდარტებსა და შესაფერის საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებს) და მისადაგება აუდიტის გარიგების ხასიათსა და გარემოებებს.

გარიგების პარტნიორი ასევე ვალდებულია, რომ აუდიტის გარიგების მიმდინარეობისას, დროის შესაბამის მონაკვეთებში იხილავდეს აუდიტის დოკუმენტაციას (31-ე პუნქტი). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მოთხოვნის მიხედვით, გარიგების პარტნიორს კონკრეტულად ევალება მნიშვნელოვან საკითხებთან და მნიშვნელოვან განსჯასთან დაკავშირებული აუდიტის დოკუმენტაციის მიმოხილვა. „მნიშვნელოვანი საკითხები“ არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება ასს 230-ში, 8(გ) პუნქტში და განმეორებით აღარ არის განმარტებული ასს 220-ში (გადასინჯული). ამის ნაცვლად, ასს 220 (გადასინჯული) შეიცავს მითითებებს ისეთი ტიპის განსჯისა და გადაწყვეტილებების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან განსჯას (იხ. პუნქტი გ92). გარდა ამისა, გარიგების პარტნიორს ევალება სხვა ისეთ საკითხებთან დაკავშირებული აუდიტის დოკუმენტაციის მიმოხილვაც, რომელიც მისი პროფესიული შეფასებით, დაკავშირებულია გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობებთან (იხ. პუნქტი გ93). გარიგების პარტნიორს არ სჭირდება აუდიტის ყველა დოკუმენტაციის მიმოხილვა.

**i** ამ სტანდარტით გამოწვეულ ასს 300-ის შესაბამის შესწორებაში, მე-9(ა) პუნქტში მითითებულია, რომ აუდიტის გეგმა ახლა უნდა მოიცავდეს ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის დაგეგმილი აქტივობების ხასიათის, ვადებისა და მასშტაბის აღწერას.

**i** ასს 220-ის (გადასინჯული) გ95 პუნქტში აღწერილია მაგალითები იმისა, თუ როგორ შეიძლება ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვისადმი მიდგომის ადაპტირება გარიგების სხვადასხვა გარემოების შესაბამისად.

ასს 220 (გადასინჯული) ასევე მოითხოვს, რომ გარიგების პარტნიორმა განიხილოს ფინანსური ანგარიშგება, აუდიტორის დასკვნა და ხელმძღვანელობისთვის, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისა და მარეგულირებელი ორგანოებისთვის მიწოდებული ოფიციალური წერილობითი ინფორმაცია (იხ. პუნქტები 33–34-ე). ეს ნაწილი სტანდარტს დაემატა გარე მხარეებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით აუდიტორის პასუხისმგებლობის კონკრეტიზაციისა და გამლიერების მიზნით.

**i** ასს 220-ის (გადასინჯული) პუნქტი A98 აღნიშნავს, რომ პროფესიული განსჯა გამოყენება იმის განსაზღვრისას, თუ რომელი მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია მიმოიხილება.

გარდა ამისა, ასს 220-ში (გადასინჯული) განხილულია ისეთი ტიპის საკითხების მაგალითები, რომლებიც დაკავშირებულია ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის მოთხოვნებსა და შესაბამის ფირმის პოლიტიკასა თუ პროცედურებთან (იხ. პუნქტები 85–89).

### კონსულტაცია



ასს 220 (გადასინჯული)  
პუნქტები: 35-ე,  
გ99-გ102



მიუხედავად იმისა, რომ არსებითი ცვლილებები არ არის შეტანილი კონსულტაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში, ასს 220 (გადასინჯული) მოიცავს ამ მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებულ ახალ მასალას, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ხმს 1-ის ფირმის დონის მოთხოვნებთან, რომლებიც ეხება რთულ ან სადავო საკითხებზე კონსულტაციას (იხ. ასს 220 (გადასინჯული) პუნქტი გ99).

### გარიგების ხარისხის მიმოხილვა



ასს 220 (გადასინჯული)  
პუნქტები: 36-ე,  
გ103-გ106

არსებული ასს 220 მოიცავს მოთხოვნებს და მითითებებს აუდიტის გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარების შესახებ, მათ შორის, მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია გარიგების ხარისხის მიმოხილველზე. ეს მოთხოვნები და მითითებები ახლა გადატანილია ხმს 2-ში. მართალია, ასს 220-ში (გადასინჯული) აღარ არსებობს გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მაგრამ გადასინჯული სტანდარტი მაინც შეიცავს მოთხოვნებს და მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალას გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობების შესახებ გარიგების ხარისხის მიმოხილვასთან დაკავშირებით. ეს მოთხოვნები და შესაბამისი მასალა ძირითადად ორიენტირებულია იმაზე, თუ როგორ ურთიერთობენ გარიგების პარტნიორი და გარიგების გუნდი გარიგების ხარისხის მიმოხილველთან (იხ. პუნქტები 36-ე და გ103-გ106). ამ არსებული მოთხოვნების შენარჩუნების გარდა, ასს 220 (გადასინჯული) მოიცავს ახალ, ნათლად ჩამოყალიბებულ კონკრეტულ მოთხოვნას:

გარიგების პარტნიორმა უნდა ითანამშრომლოს გარიგების ხარისხის მიმოხილველთან და ინფორმაცია მიაწოდოს გარიგების გუნდის სხვა წევრებსაც მიმოხილველთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით მათი პასუხისმგებლობის შესახებ (იხ. პუნქტი 36(ბ)).



ასს 220 (გადასინჯული) ასევე შეიცავს ამ მოთხოვნის გამოყენებასთან დაკავშირებულ ახალ მასალას, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია:

- ხმს 1-ის ფირმის დონის მოთხოვნებთან, რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის მიმოხილვას (იხ. ასს 220-ის (გადასინჯული) პუნქტი გ103)); და
- ხმს 2-ის მოთხოვნებთან, რომლებიც უკრძალავს გარიგების პარტნიორს გარიგების დასკვნის დათარიღებას მანამ, სანამ არ მიიღებს შეტყობინებას გარიგების ხარისხის მიმოხილველისგან, რომ გარიგების ხარისხის მიმოხილვა დასრულებულია (იხ. ასს 220 (გადასინჯული) პუნქტი გ104).



არსებული ასს 220 მოითხოვს, რომ გარიგების გუნდმა დაიცვას ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება აზრთა სხვადასხვაობაზე რეაგირებას და გადაჭრას. ამ არსებული მოთხოვნის გაძლიერების გარდა, ასს 220 (გადასინჯული) მოიცავს ახალ მოთხოვნას, რომელიც უფრო ზუსტად განსაზღვრავს გარიგების პარტნიორის როლს აზრთა სხვადასხვაობის გადაჭრის საკითხში. კერძოდ, ასს 220-ის (გადასინჯული) 38-ე პუნქტი კონკრეტულად ავალდებულებს გარიგების პარტნიორს:

- (ა) თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა წარმოქმნილ აზრთა სხვადასხვაობაზე რეაგირებასა და მის გადაჭრაზე ფირმის პოლიტიკის ან პროცედურების შესაბამისად;
- (ბ) დაადგინოს, რომ დასკვნები გამოტანილია, დოკუმენტებში აისახა და პრაქტიკაში განხორციელდა; და
- (გ) არ დაათარილოს აუდიტორის დასკვნა მანამ, სანამ არ გადაწყდება ყველანაირი აზრთა სხვადასხვაობა.



ასს 220 (გადასინჯული) ასევე შეიცავს ამ მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებულ ახალ მასალას, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ხმს 1-ის ფირმის დონის მოთხოვნებთან, რომლებიც ეხება აზრთა სხვადასხვაობას (იხ. ასს 220 (გადასინჯული), პუნქტი გ107).

### მონიტორინგი და რემედიაცია



ასს 220 (გადასინჯული) აძლიერებს და განმარტავს ასს 220-ში არსებულ მონიტორინგისა და რემედიაციის მოთხოვნას. განახლებული სტანდარტი ეყრდნობა იმ წინაპირობას, რომ გარიგების პარტნიორია პასუხისმგებელი მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შესაბამის ასპექტებზე რეაგირებაზე, მათ შორის:

- (ა) ფირმის მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შედეგების შესახებ ფირმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში, ქსელისა და ქსელის ფირმების მონიტორინგის და რემედიაციის პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის გააზრებაზე;
- (ბ) 39-ე პუნქტში მითითებული ინფორმაციის რელევანტურობისა და აუდიტის გარიგებაზე მისი ზემოქმედების დადგენასა და შესაბამისი ზომების გატარებაზე; და
- (გ) აუდიტის გარიგების მიმდინარეობისას სიფხიზლის შენარჩუნებაზე ისეთ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც შესაძლოა რელევანტური იყოს ფირმის მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესისთვის და ასეთი ინფორმაციის მიწოდებაზე ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირებისთვის.



ასს 220 (გადასინჯული) ასევე შეიცავს ამ მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებულ ახალ მასალას, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ხმს 1-ის ფირმის დონის მოთხოვნებთან, რომლებიც ეხება მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესს (იხ. ასს 220 (გადასინჯული), პუნქტი გ109).



არსებული ასს 220 მოიცავს მოთხოვნებს აუდიტის გარიგების ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაციის შესახებ, რომლებიც მიმართულია გარიგების ხარისხის მიმოხილველზე. ეს მოთხოვნები ახლა გადატანილია ხმსს 2-ში. თუმცა, გადასინჯული ასს 220 ახლა მოითხოვს, რომ აუდიტის დოკუმენტაციაში დაფიქსირდეს ის ფაქტი, რომ გარიგების ხარისხის მიმოხილვა დასრულდა არაუგვიანეს აუდიტორის დასკვნის თარიღისა (თუ სავალდებულოა მოცემული აუდიტის გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება (იხ. ასს 220 (გადასინჯული) პუნქტი 41(გ)).



ასს 220 (გადასინჯული) ასევე შეიცავს ამ მოთხოვნის გამოყენებასთან დაკავშირებულ ახალ მასალას, რომელიც:

- დაკავშირებულია ასს 230-ის „აუდიტის დოკუმენტაცია“ \_ დოკუმენტაციის საერთო მოთხოვნებთან (იხ. პუნქტი გ117); და
- განმარტავს, რომ ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მომზადება შესაძლებელია სხვადასხვაგვარად (იხ. პუნქტი გ118).



**საერთო პასუხისმგებლობა ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე**



ასს 220 (გადასინჯული) მოითხოვს, რომ აუდიტორის დასკვნის დათარიღებამდე გარიგების პარტნიორმა დაადგინოს, რომ მას თავის თავზე აქვს აღებული საერთო პასუხისმგებლობა აუდიტის გარიგების ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე. ეს მოთხოვნა ასევე ეხება აუდიტის პროცესში გარიგების პარტნიორის ჩართულობას და გარიგების პარტნიორის მიერ იმის დადგენას, რომ აუდიტის გარიგების ხასიათი და გარემოებები, მათი ნებისმიერი ცვლილება და ფირმის შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები გათვალისწინებულია ასს 220-ის მოთხოვნების შესაბამისად. ეს მოთხოვნა არის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ზემოთ აღწერილი მოთხოვნების საფუძველი.

ამ მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებული მასალა მოიცავს ისეთი სიტუაციების მაგალითებს, როდესაც გარიგების პარტნიორმა შეიძლება ვერ დაასკვნას, რომ იგი საკმარისად და ადეკვატურად იყო ჩართული გარიგების შესრულების პროცესში. გარდა ამისა, მოიცავს იმ ქმედებების მაგალითებსაც, რომლის გამოყენება გარიგების პარტნიორს შეუძლია ასეთი სიტუაციის მოსაგვარებლად.



არსებული ასს 220 არ შეიცავს გარიგების პარტნიორის მიერ საერთო პასუხისმგებლობის აღების „გარედან, უცხო თვალით“ შეფასების მოთხოვნას. ახალი მოთხოვნა ( მე-40 პუნქტი) იმიტომ დაემატა ცვლილებებს, რომ გარიგების პარტნიორი აიძულოს, დაფიქრდეს საკუთარ ჩართულობაზე და განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინოს იმის ინდიკატორების მიმართ, რომ მისი ჩართულობა შესაძლოა საკმარისი და ადეკვატური არ იყოს.



ასს 220 (გადასინჯული) ასევე შეიცავს ამ მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებულ ახალ მასალას, რომელიც, თავი მხრივ, დაკავშირებულია ხმსს 1-ის ხარისხის მიზნებსა და მოთხოვნებთან (იხ. პუნქტი გ113).

## ჯგუფის აუდიტი



ასს 220 (გადასინჯული) შემუშავდა არსებულ ასს 600<sup>2</sup>-თან ერთად გამოსაყენებლად. ეს ეხება გადასინჯული სტანდარტის ისეთ გაუმჯობესებებსაც, როგორცაა გარიგების გუნდის განმარტება და ახალი ფოკუსი გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობაზე, მთელი გარიგების გუნდის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფაზე.

ასს 220-სა (გადასინჯული) და ასს 600-ს შორის არსებული კავშირის გაუმჯობესების მიზნით, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ წამოიწყო [ასს 600-ის გადასინჯვის პროექტი](#). ასს 600 (გადასინჯული)<sup>3</sup> აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ დაამტკიცა 2021 წლის დეკემბრის სხდომაზე.

- 
2. ასს 600, *სპეციფიკური საკითხები – ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორების სამუშაოს ჩათვლით)*.
  3. ასს 600 (გადასინჯული), *სპეციფიკური საკითხები – ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორების სამუშაოს ჩათვლით)*.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) პუბლიკაცია „დანერგვის სახელმძღვანელო – აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 220 (გადასინჯული) – ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა“, რომელიც 2022 წლის თებერვალში ინგლისურ ენაზე გამოსცა International Federation of Accountants (IFAC), ქართულ ენაზე თარგმნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ 2022 წლის ივლისში და გამოიცემა IFAC-ის ნებართვით. IFAC-ის პუბლიკაციების დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ დოკუმენტის გამოყენებას.

„დანერგვის სახელმძღვანელო – აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 220 (გადასინჯული) – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა“, 2022 წლის თებერვალი, ინგლისურენოვანი ტექსტი © 2022 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„დანერგვის სახელმძღვანელო – აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 220 (გადასინჯული) – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა“, 2022 წლის თებერვალი, ქართულენოვანი ტექსტი © 2022 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: ISA 220 (revised): First-time implementation guide, February 2022

წინამდებარე დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: [Permissions@ifac.org](mailto:Permissions@ifac.org)



International Auditing  
and Assurance  
Standards Board

529 Fifth Avenue, New York, NY 10017  
T + 1 (212) 286-9344 F +1 (212) 286-9570  
[www.iaasb.org](http://www.iaasb.org)

თარგმნა:

